

2017 წლის 27 იანვარი - 5 თებერვალი

საფინანსო ბაზრის მიმოხილვა

რეფინანსირების განაკვეთის გაზრდის შემდეგ, მართალია, სესხების გალარებაზე ინტერესი ალბათ დაიკლებს, თუმცა, დროებით მაინც, სტაბილიზაციის პირველადი შედეგები საქართველოს ფულად სისტემაში სახეზეა.

იანვარში შემცირდა ლარის მასა 300 მლნ. ლარით (მათ შორის, ნაღდი ფული (ე.წ. ქეში) 230მლნ. ლარით), ფინანსთა სამინისტრო ალბათ მოერიდება შიდა ვალების დაუგეგმავ აღებას, და, რაც მთავარია, შეინიშნება ლარის კურსის დასტაბილურება - საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით ეროვნულ ბანკს ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ გაზაფხულამდე ლარის გაუფასურება არ დაუშვას.

მიუხედავად იმისა, რომ რეფინანსირების სესხებიც ნაკლები გაიცა ხუთშაბათის აუქციონზე (სკრინი ქვევით), კომერციული ბანკების მოთხოვნა მაინც აღემატება ერთ მლრდ ლარს, რომელზეც პროცენტი საბოლოო ჯამში კლიენტების გადასახდელია.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბანკთშორისი დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 1.3 მლრდ ლარის ტოლია (ე.ი. ერთმანეთს შორის სესხები - თითქმის ნახევარ-ნახევარი ლარში და დოლარშია გაცემული - იხილეთ ეროვნული ბანკის სტატისტიკა), კვლავაც ძალაში რჩება შეკითხვა: „რატომ არის მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტი კომერციულ ბანკებში ასე მაღალი, რომლის შესავსებად ის იყენებს ოვერდრაფტ-სესხს (რეფინანსირების სესხს) ეროვნული ბანკისგან?“

რეფინანსირების სესხი მცირე ზომით მისაღები და დასაშვებია, მაგრამ დიდი ზომით არის ცუდი ! (საქართველო - 20% უკრაინა - 13% თურქეთი - 2.7% რუსეთი - 1.7% ევროკავშირი - 0.3%)

Georgia Auction Results		
National Bank of Georgia		
		Zoom 100%
		07:41 GMT
		02-Feb-17
National Bank of Georgia		
Monetary Operations -		
1W refinance Auction & 1MOMI		
Auction Results		
(All amounts in thousands GEL)!		
	Refinance Auction	1MOMI
Auction Number	5	1
Minimum Accepted Rate	6.75%	6.50%
Auction Date	2/2/2017	1/20/2017
Maturity in Days	7	34
Maturity Date	2/9/2017	2/23/2017
Number of Bidders		7
Number of Winning Bids		3
Demanded by the Banks	1,131,400	647,000
Allotted	1,100,000	400,000
Interest Rates		
Minimum	6.75%	6.70%
Maximum	6.83%	6.76%
Avg. Weighted	6.77%	6.70%

2017 წლის 20 – 27 იანვრის საფინანსო ბაზრის მიმოხილვა

20 იანვარს კომერციული ბანკების მოთხოვნამ რეფინანსირების აუქციონზე შეადგინა 2 მლრდ ლარზე მეტი (1.393 მლრდ – ერთკვირიანზე, 647 მლნ – ერთთვიანზე), თუმცა ეროვნულმა ბანკმა სრულად არ დაუკმაყოფილა მოთხოვნა და გასცა მხოლოდ 1.65 მლრდ მოცულობის რეფ. სესხი – ალბათ, მეტის გაცემა ეროვნულმა ბანკმა უკვე კრიტიკულად შეაფასა და არც არავის შეაქვს ეჭვი იმაში, რომ პასუხისმგებელი პირები ამ კრიტიკულ ზღვარს სწორად გამოთვლიდნენ. ჩემი ერთადერთი შეკითხვა, რომელზეც პასუხის მისაღებად მთელი კვირის განმავლობაში ყრუ კედელს დავეჯახე, და ამის ნაცვლად ეროვნული ბანკის წარმომადგენლები თეორიულ ლექციებს გვიკითხავენ და მაღალფარდოვან ფრაზებს თავზე გვაფრქვევენ, მდგომარეობს შემდეგში : რატომ არის კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტი ასე მაღალი – ე.ი. 2 მლრდ ლარზე მეტი, რაც მ2-ის 30% ფარგლებშია. პასუხი დღემდე ვერ მივიღეთ. რაში სჭირდებათ 2 მლრდ მოცულობის ოვერდრაფტ–სესხი კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკისგან ?.. რატომ არ დააკმაყოფილა ეროვნულმა ბანკმა სრულად მოთხოვნა, თუ მართლაც კარგი ცხოვრებით უჩნდებათ მასზე მოთხოვნა კომერციულ ბანკებს და თან ზედ პროცენტს იხდიან ?.. გაცემული 1.65 მლრდ რა რესურსით გაიცა, როდესაც კომერციულ ბანკებს სადეპოზიტო სერტიფიკატების ფორმით ეროვნულ ბანკში 300 მლნ–ზე მეტი არ აქვთ განთავსებული?..

ბანკების ასოციაცია რატომ დუმს, თუ საერთოდ წარმოდგენა არ გაქვთ თქვენი ბანკები რას საქმიანობენ? რატომ არ ინტერესდებით, კონკრეტულად რომელი კომერციული ბანკებისგან იყო ზომაზე მეტად ჭარბი მოთხოვნა რეფინანსირების სესხებზე და რაში დასჭირდათ?..

მსურს აგრეთვე აღვნიშნო, რომ ამ სურათზე არსებულ სრულ ინფორმაციას ეროვნული ბანკი გიორგი ქადაგიძის დროს ყოველკვირეულად აქვეყნებდა ტექსტობრივად საიტზე, დღეს კი ექსელის ფაილებში და თან არასრულად უნდა ეძებოს საიტის ვიზიტორმა.

მცირე ზომით რეფინანსირების სესხი მისაღებია, მაგრამ დიდი ზომით არის ცუდი...

Georgia Auction Results National Bank of Georgia		
		Zoom 100%
		07:45 GMT 20-Jan-17
National Bank of Georgia Monetary Operations - 1W refinance Auction & 1MOMI		
Auction Results		
(All amounts in thousands GEL)!		
	Refinance Auction	1MOMI
Auction Number	3	1
Minimum Accepted Rate	6.50%	6.50%
Auction Date	1/20/2017	1/20/2017
Maturity in Days	6	34
Maturity Date	1/26/2017	2/23/2017
Number of Bidders	8	7
Number of Winning Bids	8	3
Demanded by the Banks	1,393,000	647,000
Allotted	1,250,000	400,000
Interest Rates		
Minimum	6.50%	6.70%
Maximum	6.91%	6.76%
Avg. Weighted	6.61%	6.70%